მეცნიერული ცოდნის ლაბორატორია

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 ოქტომბერი სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 248 (14244)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, მთელ კოლექტივს უნივერსიტეტის დაარსების 50 წლისთავს.

ამ წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი, დიდი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც.

თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს ამ უძველესმა უმაღლესმა სასწავლებელმა მოამზადა სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მრავალი ათასი კვალიფიციური სპეციალისტი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, დღეს საქვეყნოდ ცნობილი მრავალი მეცნიერი ღრმა მეცნიერულ კვლევას აწარმოებს ცოდნის სხვადასხვა დარგში და თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. თბილისის უნივერსიტეტში შექმნილია საქვეყნოდ ცნობილი მათემატიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ენათმეცნიერების სკოლები. ამ სკოლების ფუძემდებელთა, უნივერსიტეტის პროფესორთა მრავალი ნაშრომი ფართოდ აღიარა მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებრიობამ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძველი ჩაეყარა ეროვნული კადრების მომზადებას მეცნიერების ყველა წამყვან დარგში. უნივერსიტეტის წიაღში ჩაისახნენ ჩვენს ქვეყანაში უდიდესი უმაღლესი სასწავლებლები — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

წლითიწლობით სულ უფრო მჭიდრო ხდება თბილისის უნივერსიტეტის შემოქმედებითი, მეცნიერული ურთიერთობა როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებთან.

ყველა ეს წარმატება იმის შედეგია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, თანმიმდევრულად ახორციელებენ ჩვენს ქვეყანაში ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო უსურვებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს ახალ წარმატებებს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევის განვითარებაში, სპეციალისტთა და მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადებისა და ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში.

გამოთქვამთ ღრმა რწმენას, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მისი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი ზედმიწევნით ფლობდნენ თავიანთ სპეციალობას და მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომ მათ იცოდნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონები, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ჰქონდეთ ფართო ჰორიზონტი.

ახალგაზრდობასთან მთელი აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრში უნდა იყოს მისი კლასობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, კომუნისტური რწმენის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობის, იდეური ურყეობის განმტკიცება, ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდა საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით და იმ უნარის ჩანერგვა, რომ წინააღუდგნენ ყოველი ფორმის ბურჟუაზიულ გავლენას.

ეჭვი არ არის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი წარმატებით შეასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მიერ უმაღლესი სკოლის მუშაკთა წინაშე დასახულ ამოცანებს, გაამართლებს პარტიისა და მთავრობის მუდმივ ზრუნვას უმაღლესი განათლების შემდგომი აღმავლობისათვის, რაც უდიდეს როლს ასრულებს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ახალი კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

თბილისი. 1968 წელი, 21 ოქტომბერი. საზეიმო საიუბილეო კრება სპორტის სასახლეში, მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ტაშკენტის პირველი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს

საბჭოთა მთავრობის სახელით მხურვალედ მივესალმები აზიისა და აფრიკის ქვეყნების პირველი საერთაშორისო კინოფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს. საბჭოთა უზბეკეთის დედაქალაქში ფესტივალის მოწყობა მოასწავებს ახალ ეტაპს ყველაზე მასობრივი სახეობის ხელოვნების — კინოს განვითარებაში, აზიისა და აფრიკის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში.

საბჭოთა ადამიანებისათვის მახლობელი და ძვირფასია აზიისა და აფრიკის ქვეყნების პროგრესული კინოხელოვნების წარმატებანი. ინტერნაციონალიზმი, ეროვნული კულტურების შემოქმედებითი ურთიერთგამდიდრება დიდი ოქტომბრით შობილი სოციალისტური საზოგადოების ფუძეები ტრადიციაა. ამ ტრადიციას წარმატებით ავითარებს მრავალეროვანი საბჭოთა კინემატოგრაფია, რომელიც თავის ნაწარმოებებში ასახავს შრომელი მასების გმირულ ბრძოლასა და შემოქმედების საქმიანობას, საბჭოთა სახელმწიფოს — ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობის ბურჯის შექმნისა და განმტკიცების პროცესს.

სოციალისტური კულტურის განვითარებამ ნათლად დაადასტურა ლენინის ის აზრი, რომ კინემატოგრაფი უმნიშვნელოვანესი ხელოვნებაა. ამიტომ უადრესად დიდია დღეს კინოს თვითეული მოღვაწის პასუხისმგებლობა თავისი შემოქმედებითი შრომისათვის, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა პოზიცია უკავია მას მსოფლიოში, სადაც ვცხოვრობთ. ებრძვიან პროგრესისა და რეაქციის, ჰუმანიზმისა და კაცთმოძულეობის ძალები. კინოს პროგრესულ მოღვაწეებს დიდი წვლილი შეაქვთ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველა ხალხის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. ტაშკენტის ფესტივალის კეთილშობილური დევიზს „ხალხთა შორის მშვიდობისათვის, სოციალური პროგრესისა და თავისუფლებისათვის“. ეხმაურებიან ბევრი ქვეყნისა და კონტინენტის კინომოღვაწენი.

ნება მიბოძეთ დიდი შემოქმედებითი წარმატება ვუსურვო ახალ საერთაშორისო კინოფესტივალს და გამოვთქვა რწმენა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოხელოვნება წარმატებით განვითარდება, მილიონობით ადამიანს შთაგონებს მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესისთვის იდეალებს.

ა. ნ. კოსიგინი,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მიტინგი ერევანში

ერევანი, 20 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს რესპუბლიკურ სტადიონზე ადამართა ერევნის დაარსების 2750 წლისთავისადმი მიძღვნილი ქალაქის მშრომელთა მიტინგი.

ერევნის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ასრატიანმა მხურვალედ და გულითადად მიულოცა ერევნელთ დღესასწაული — ღირსშესანიშნავი თარიღი სომეხი ხალხის ისტორიაში. ეს თარიღი დაემთხვა სომხეთის სს რესპუბლიკის დაჯილდოებას ლენინის ორდენით. რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა სახელით მან გულწრფელი მადლობა გადუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას ყურადღებისა და ზრუნვისათვის, სომეხი ხალხის შრომითი წარმატების მაღალი შეფასებისათვის.

მიტინგზე ჯამოსულნი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდნენ ერევნის წარსულსა და აწმყოზე, დიდ ცვლილებებზე, რომლებიც ქალაქში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

მიტინგს დაესწრნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ბ. ქირბიანი, სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ხ. არუთიუნიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. მურადიანი.

მიტინგის შემდეგ გაიმართა დიდი თეატრალიზებული წარმოდგენა, მასობრივი სპორტული გამოსვლები.

ქართული მეცნიერებისა და კულტურის დიდება და სიამაყე

საზეიმო საიუბილეო კრება თბილისის სპორტის სასახლეში

საყოველთაო-სახალხო ზეიმად გადაიქცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის — ქართველი ხალხის კოლექტიური ქმნილებისა და სიამაყის 50 წლისთავის დღესასწაული.

ლამაზად მორთული თბილისის სპორტის სასახლე მოწმეა არა ერთი დღესასწაულისა, რომელიც ჩაწერილა ქართველი ხალხის ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი ეტაპების მატიანეში. დღეს მის გიგანტურ ბაზაზე თითქოს ხოლოდ შეესახა ხალხის სულიერებამ და მადლიერებამ ქართველი ინტელიგენციის კადრების შესანიშნავი სამშობლოსადმი, უნივერსიტეტისადმი, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა უმაღლეს განათლებას მშობლიურ ნიადაგზე, ააღორძინა წარსულის მდიდარი კულტურული ტრადიციები, გახდა რესპუბლიკაში მეცნიერულ-შემოქმედებითი აზრის ნამდვილი კერა.

ალისფერი ქსოვილების სიღრმეში მოჩანს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდებული ბიუსტი. ბელადის მოახლოებული ასი წლის იუბილე ხომ გზას გვინათებს კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ.

არენის თავზე გაკრულია ტრანსპარანტი, რომელზეც უზარმაზარი დიდი ასოებით აწერია: „დიდება თბილისის უნივერსიტეტს“! კუთხეებში, ზემოთ მოჩანს ციფრები — „50“. ფოიეში მოწყობილია გამოფენა „თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილები და მეგობრები ყველა მერიდიანზე“.

...დილის 11 საათია. სპორტის სასახლის უზარმაზარ დარბაზში ათასობით თბილისელი შეკრებილა. დღესასწაულზე მოვიდნენ ისინიც, ვინც იდგა საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის სათავეებთან, ისინიც, ვინც ახლა არიან თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები და მასწავლებლები. აქ მოვიდნენ ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც პირველად შედგეს ფეხი უმაღლეს სასწავლებელში, თავიანთი მამებისა და უფროსი ძმებისაგან მიიღეს ცოდნის ესტაფეტა, ემზადებიან პირნათლად განაგრძონ თავისი ერის კულტურული ტრადიციები.

ზეიმზე ჩამოვიდნენ საბჭოთა მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, მოძმე რესპუბლიკების უნივერსიტეტების წარმომადგენლები, საზღვარგარეთელ სტუმრები, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების დელეგაციები. დამსწრეთა შორის ბევრია იუბილარი უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილი, რომლებსაც მან გაუხსნა ცხოვრების გზა, მეცნიერები, რომლებმაც აქ გადადგეს თავიანთი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან: **ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ი. კუჭავა, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე **ს. პ. ტრაპეზნიკოვი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, სტუმრები.

სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულნი ... ნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ნ. ნ. სემიონოვი,** სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **ვ. პ. ელიუტინი,** უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ა. ს. სადიკოვი,** აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **მ. ა. თოფჩიბაშევი,** აკადემიკოსები **ი. პ. ალიმარინი, ს. ა. ამბარცუმიანი, ი. ი. არტობოლევსკი, ნ. ნ. ბოგოლიუბოვი, ა. ი. იშლინსკი, ს. ა. სობოლევი, ა. ა. ტროფიმჩუკი, ა. ნ. ტიხონოვი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები **ა. ვ. ბიწაძე, მ. ნ. ბოგოლიუბოვი, ბ. მ. ვული, ა. ნ. კონონოვი, ა. ი. ლურიე, კ. კ. მარჯანიშვილი, ვ. მ. ჩხიკვაძე,** განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ტ. პ. იანუშევსკაია,** პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ს. ვ. რუმიანცევი,** ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ს. ტ. ბელიაევი,** დონის როსტოვის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, **ი. ა. ედანოვი,** კიევის შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ი. ტ. შევცი,** ტარტუს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი **ფ. დ. კლემენტი,** ერევნის უნივერსიტეტის რექტორი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **მ. გ. ნერსესიანი,** აზერბაიჯანის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მ. ხ. ალიევი,** პერმის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ფ. ს. გოროვოი,** დაღესტნის ვ. ი. ლენინის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ა. ა. აბილოვი,** ყაზახეთის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ა. ვ. ზაკარინი,** დონეცკის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ი. ა. შველიაკოვი,** უჟგოროდის უნივერსიტეტის რექტორი, დოცენტი **დ. ვ. ჩეპური** და სხვები.

საიუბილეო ზეიმზე ჩამოვიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები სახელგარეთის ბევრი ქვეყნიდან, მათშორის ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი **ბ. ზარევი,** დოქტორი **ი. ბიწაძე** (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა), ბუდაპეშტის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **კ. ნადი,** იენის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ფ. ბოლკი,** ბერლინის გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ლ. შტერნი,** ბერლინის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ხ. ვირცბერგერი,** პრაღის პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **მ. ციპრა,** ბუქარესტის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ფ. ლიციესკუ,** ზაგრების გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი **ი. ცერკვენჩიჩი,** პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი **ჯ. კურატოვსკი,** იაგელონის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მ. კლიმაშევსკი,** ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი **ბ. ბოიარსკი,** ვენის მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორი **გ. გიორნეხი,** ლეიდენის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის პროფესორი **ა. კაიპერსი,** ამსტერდამის უნივერსიტეტის პროფესორი **ვ. რობოუ,** სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **ს. ბერგმანი,** ჯორჯტაუნის უნივერსიტეტის პროფესორი **ა. ვაინსტაინი,** ვაშინგტონის სენტლუისის უნივერსიტეტის პროფესორი **დ. ჯორჯიენი,** ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი **ა. ზიგმუნდი,** კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი **ე. კოლჩინი,** ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორი **ჯ. სპრინგერი,** სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი **ლ. გოტიე,** გეტინგენის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ო. ფლეშნერი,** მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი **ი. ასფალგი,** ჰელსინკის უნივერსიტეტის პროფესორი **ს. ტოიონენი,** შვეიცარიელი ქართველოლოგი, დოქტორი **ი. მარხენი,** კოპენჰაგენის ტექნიკის უნივერსიტეტის პროფესორი **ფ. ნიერდსონი,** ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკანისტიკის სკოლის პროფესორი **დ. ლანგი** და სხვები.

დარბაზში სიზეიმე სუფევს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას შესავალ სიტყვით ხსნის მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე.**

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის შესავალი სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

პატივცემულო სტუმრებო!

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ამ ჭეშმარიტად სახალხო ზეიმზე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ორმოცდამეათე წლისთავზე, საქართველოში უმაღლესი განათლების აღორძინების ნახევარი საუკუნის იუბილეზე.

თბილისის უნივერსიტეტი მთელი ჩვენი ხალხის დიდი სიყვარულით და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. საქართველოს კულტურის ამ ცენტრისადმი ასეთი დიდი საერთო-სახალხო სიყვარული გამოწვეულია იმით, რომ იგი წარმოადგენს არა მარტო ჩვენი უმაღლესი განათლების კერას, არამედ ჩვენი მეცნიერების დიად ტაძარსაც.

თბილისის უნივერსიტეტი ღირსეულად აგრძელებს დღეს იმ ტრადიციას, რომელიც საუკუნეების სიღრმეში იყო შექმნილი და რასაც საფუძველი ჩაეყარა კოლხეთის, იყალთოს, გრემისა და გელათის აკადემიებში.

თბილისის უნივერსიტეტი ადრე დაწყებული დიდი სიმღერის, ჟამთა სიავით შეწყვეტილი ჰანგების ახლებური აჟღერებაა. ეს საერთო-სახალხო ზეიმი დადასტურებაა იმისა, რომ უნივერსიტეტი მართლაც პოტენციურად მუდამ არსებობდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ შეგნებაში.

ამ სიყვარულის გამოხატულებაა ისიც, რომ მეფის რუსეთის ბატონობის პირობებში უნივერსიტეტი ხალხში შეგროვილი ფულით იქნა აგებული.

ამავე სიყვარულის გამოხატულებაა თავდადებული შრომა ჩვენი მშენებლებისა, რომელთაც უმოკლეს დროში ააგეს უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის პირველი კორპუსი და თავიანთ საყვარელ უნივერსიტეტს ეს საიუბილეო საჩუქარი მიართვეს.

აღსრულდა სიტყვა უნივერსიტეტის ძველი შენობის იმ მშენებლისა, რომელმაც ერთ-ერთი მოქალაქის კითხვაზე: „რისთვის ღვრი ოფლს? ვისთვის აშენებ? აქ ხომ მხოლოდ მდიდართა შვილები ისწავლიან“ — უპასუხა: არა უშავს, დადგება დრო და ჩვენი შვილები მიიღებენ აქ განათლებას.

ეს დრო დადგა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ისტორიის ახალი გვერდები გადაფურცლა, მშრომელი ხალხი ახალი ცხოვრების შარაგზაზე გამოიყვანა, მშრომელთა სამსახურში დააყენა ბუნების ყველა ძალა, გა-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ქართული მეცნიერებისა და კულტურის დიდებამ სიამაყე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

დაუშალა მათ მეცნიერების, ტექნიკის მთელი სიმდიდრე და გაუხსნა გზა ცოდნის მწვერვალისაკენ.

იმ მშენებლის შვილები დღეს მეცნიერთა მოწინავე რიგებში დგანან, უმაღლესდამთავრებულნი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს ემსახურებიან, მისი შვილიშვილები უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, რომ შემდგომ წასწონონ წინ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა, ჩვენი ხალხის კულტურა.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, ჩვენმა რესპუბლიკამ უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას მიაღწია. ამის გამოხატულებაა თუნდაც ის, რომ საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში საშუალო და უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობით ყოველ ათას სულ მოსახლეზე.

ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელსაც მართებულად უწოდებენ Alma mater-ს.

იგი მართლაც დედაა ჩვენში ამჟამად არსებულ ყველა უმაღლესი სასწავლებლისა. იგი დედაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისაც. სწორედ აქ, თბილისის უნივერსიტეტში, ჩაეყარა საფუძველი სახელგანთქმულ ისეთ სკოლებს, როგორიც არის ჩვენი მათემატიკოსების სკოლა ნიკო მუსხელიშვილის მეთაურობით, ფიზიოლოგთა სკოლა ივანე ბერიტაშვილის ხელმძღვანელობით, ფსიქოლოგთა სკოლა დიმიტრი უზნაძის თაოსნობით, რომ არაფერი ვთქვათ ქართველოლოგიაზე, რომლის ცენტრად იქცა თბილისის უნივერსიტეტი მისი დაარსების პირველი დღეებიდანვე.

და დღეს, როცა ჩვენ საზეიმო ვითარებაში აღვნიშნავთ ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის სიამაყისა და დიდების — თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავს, არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით არ მოვიგონოთ ისინი, ვინც პირველად დაარწია ჩვენში უმაღლესი განათლების დიდებული აკვანი, ვინც კვლავ აანთო მეცნიერული ცოდნის წმინდა ლამპარი. აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ივანე ჯავახიშვილის დიდი ღვაწლი და მისი თანამებრძოლების პეტრე მელიქიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, იოსებ ყიფშიძის, დიმიტრი უზნაძის, კორნელი კეკელიძის, ფილიპე გოგიჩაიშვილის, ანდრია რაზმაძისა და ანდრია ბენაშვილის თავდადებული შრომა.

სიამოვნებით უნდა ითქვას, რომ დღეს ამ ჩვენს დიდ დღესასწაულს უნივერსიტეტის დამაარსებელთაგან ესწრებიან ჩვენი ღვაწლმოსილი და მხცოვანი მეცნიერები აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი.

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მივულოცო მათ ეს დღე, დღე, როცა ისინი თავიანთი თვალით ხედავენ მათ მიერ გადასროლილი თესლის საიმედო ამონაყარს!

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მივულოცო უნივერსიტეტის ყველა პროფესორსა და მასწავლებელს, მათ, ვინც არაფერს ზოგავს იმისათვის, რომ გადასცეს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება ჩვენს ახალ თაობებს, რომლებიც ჩვენს ქალაქვილებსა და ჭაბუკებს ზრდიან კომუნისტური რწმენის, იდეური სიმტკიცის სულისკვეთებით.

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მივულოცო ჩვენს სტუდენტობას და მათი სახით მთელ ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც მხურვალედ ეწაფება ცოდნას, ღირსეულად განაგრძობს სახელოვან მამათა დიად გზას, განაგრძობს საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მივულოცო საქართველოს ყველა მშრომელს, მათ, ვისაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ნება მიბოძეთ თქვენი სახელით მივესალმო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნიდან მოწვეული ძვირფას სტუმრებს და მადლობა გადავუხადო ესოდენი ყურადღებისათვის.

• • •

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას **ვ. პ. მელიქიშვილი** გახსნილად აცხადებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმების გამოსაქვეყნებლად სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **გ. დ. ჯავახიშვილს.**

საზეიმო კრების მონაწილეები მისალმებას მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ლენინური პრემიის ლაურეატმა, უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა **ი. ნ. ვეკუამ.**

აკად. ი. ნ. ვეკუას მოხსენება

ამხანაგებო,
ძვირფასო მეგობრებო,
ქალბატონებო და ბატონებო!

ამ დღეებში ქართველი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორმოცდამეათე წლისთავს. ეს სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან მთელი ექვსი საუკუნის იძულებითი შუალედის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტი იყო პირველი სასწავლებელი, რომელმაც ჩვენში მშობლიურ ნიადაგზე მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა უმაღლეს განათლებას, აღორძინა წარსულის მდიდარი ტრადიციები და გახდა ნაშდვილი მეცნიერულ-შემოქმედებითი აზრის აკვანი.

პროგრესულ ქართველ მოღვაწეებს არა ერთგზის დაუფუძნებიათ ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის საკითხი, მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის პირობებში ეს ცდები ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა საამისოდ ხელსაყრელი ვითარება. ქართველ მეცნიერ-ბაქტერიოლოგთა ჯგუფმა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მეთაურობდა, ამით ისარგებლა და თბილისში დაარსა ეროვნული უნივერსიტეტი.

ოფიციალურად უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 ივნვარს (ძვ. სტილით) — დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, იმ დავითისა, რომელიც მე-11-მე-12 საუკუნეთა მიჯნაზე დაამარცხა მრავალრიცხოვანი უცხოელი დამპყრობნი და პირველად შექმნა საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო. მეფე დავითი იყო ბრძენი განმგებელი. იგი ხელს უწყობდა და ახალისებდა სწავლა-განათლების გავრცელებას, სამეცნიერო-კულტურული ცენტრების განვითარებას. გელათსა და ფაცალთოში მისი თაოსნობით დაარსებული აკადემიები იმითავითვე იქცნენ სწავლა-განათლებისა და შემოქმედებითი აზრის ძლავრ კერებად, სადაც იქმნებოდა ფილოსოფიური ტრაქტატები და ლიტერატურული თხზულებანი, რომლებმაც ჩვენ დრამდე შეინარჩუნა ისტორიული და შემეცნებითი დირებულება.

უფრო ადრეც, ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში, არსებობდა კოლხეთის აკადემია, ეს იყო რიტორიკულ-ფილოსოფიური უმაღლესი სკოლა, სადაც სწავლობდნენ არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც.

ამრიგად, საქართველოში ძველთაგანვე მოიპოვებოდა სწავლა-განათლების ძლავრი კერები თბილისის უნივერსიტეტი მათი ტრადიციების კანონიერი მემკვიდრე და გამგრძელებელია.

უცხოელ დამპყრობთა გაუთავებელი თავდასხმები რომ არა, რამაც შეწუხება საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების განვითარების ნორმალური მსვლელობა, დღეს ჩვენ, ეჭვს გარეშე, ვიზეიმებდით მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე უნივერსიტეტის იუბილეს.

დავით აღმაშენებლის ფართო საგანმანათლებლო მოღვაწეობა მიზნად ისახავდა საერთო-ეროვნული კულტურის, როგორც გაერთიანებული სახელმწიფოს აუცილებელი დასაყრდენის, განვითარებას. თბილისის უნივერსიტეტს წილად ხვდა საპატიო ამოცანა — შეესრულებინა ამგვარივე კულტურულ-ისტორიული მისია, თუმცაღა სრულიად სხვა ეპოქასა და უფრო ხელსაყრელ პირობებში. ამიტომ უნივერსიტეტის გახსნა დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს შემთხვევითი არ აყოფილა, მას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

მე-18 საუკუნიდან მოკიდებული, უცხოელ დამპყრობთა მოძალების შედეგად საქართველო ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დანაწილდა. მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ მოიპოვა მან მაუდრობა და მშვიდობიანი შემოქმედების პირობები. ამან საშუალება მისცა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, რომელიც რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე იყო აღზრდილი, გამოეცოცხლებინა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა და გამოეყენებინა იგი მშობელი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გასაღრმავებლად. ცხადია, ეს მოძრაობა ხშირად სცილდებოდა მეფის თვითმპყრობელობის პირობებში ნებადართულ ფარგლებს და იდგება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ელფერს, რის გამოც მოწინავე ინტელიგენცია დევნას განიცდიდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს მოუტანა სრული ერთიანობა და ეროვნული კულტურის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობა. კომუნისტური პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ მკვიდრი საფუძველი შეუქმნა მეცნიერებისა და კულტურის შეუფერებელ განვითარებას მშობლიურ ნიადაგზე. ლენინიზმის დიადმა პრინციპმა, რომ ყოველ ხალხს თავისი შემოქმედებითი პოტენციის ყველაზე საუკეთესო გამოვლინება შეუძლია მაშინ, თუ იგი საკუთარ თვითმყოფ კულტურას ემყარება, მაქსიმალურად იყენებს მშობლიური ენის შესაძლებლობას და თავის ისტორიულ გამოცდილებას, კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია ახალი, სოციალისტური ქართული კულტურის განვითარებაზე. მხოლოდ ამ გზით მოახერხა ქართველმა ხალხმა, რომელიც მანამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩაგრას განიცდიდა და მოკლებული იყო მეცნიერულ-შემოქმედებითი აზრის განვითარების შესაძლებლობას, შედარებით მოკლე ვადაში დაეძლია ჩამორჩენა, ამაღლებულიყო კულტურულად და ტექნიკურად დაწინაურებულ ერთა დონემდე, გამხდარიყო საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახის თანასწორუფლებიანი და სასარგებლო წევრი.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანის გადაწყვეტაში თბილისის უნივერსიტეტმა მეტად დიდი წვლილი შეიტანა. ამიტომ ჩვენს ხალხს კანონიერი საფუძველი აქვს იამაყოს თავისი უნივერსიტეტით და აღნიშნოს მისი ორმოცდამეათე წლისთავი, როგორც საერთო-ეროვნული ზეიმი. ეს არის არსებითად ზეიმი ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისა, რომელიც ქართველმა ხალხმა კულტურის ფრონტზე მოიპოვა.

თავისი არსებობის ხუთი ათეული წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტმა განვლო სახელოვანი და ნაყოფიერი განვითარების გზა. მან ჭეკეულანს მისცა მზ ათასზე მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილთა შორის ბევრია გამოჩენილი ადამიანი, რომლებმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანეს მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

ათიოდე წელიწადში უნივერსიტეტი საგრძნობლად გაიზარდა და გაფართოვდა. უკვე 1922 წლისათვის იგი მოიცავდა მეცნიერული ცოდნის თითქმის ყველა ძირითად დარგს.

ახეთი დიდი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელობა, ცხადია, ძალიან ძნელი იყო. ამის გამო ჩატარდა უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. 1928-1930 წლებში, მას დამოუკიდებელ ინსტიტუტებად გაეროყო პოლიტექნიკური, სამედიცინო და აგრონომიული ფაკულტეტები.

ახალი ეტაპი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების ცხოვრებაში დაიწყო ოცდაათიან წლებში, როცა ისინი აღიარებულ იქნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და მეცნიერული კადრების მომზადების ძირითად ცენტრებად.

ამ დროიდან იწყება თბილისის უნივერსიტეტის სწრაფი განვითარება. იქმნება ახალი ლაბორატორიები და კათედრები. შემდგომ მათ ბაზაზე ყალიბდება რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შექმნას (1941 წ.) და შევიდა მის შემადგენლობაში. ეს ჩვენი უნივერსიტეტის დიდი ისტორიული დამსახურებაა.

თბილისის უნივერსიტეტმა ნიადაგი მოუმზადა არა ერთი სხვა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის შექმნას, რომლებიც დიდმნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიმართულებებით. ბევრი სამეცნიერო დაწესებულებისა და სახალხო მეურნეობის დარგის დაკომპლექტება ხდება ჩვენი უნივერსიტეტის მიერ მომზადებული სპეციალისტებით.

დიდი სამამულო ომი ძნელი გამოცდა იყო უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ათასობით სტუდენტი, პროფესორი და მასწავლებელი წავიდა ფრონტზე. მრავალი მათგანი მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას. იმ ძნელ წლებში უნივერსიტეტის მუშაობის მასშტაბი, ცხადია, მნიშვნელოვნად შეიკვეცა, მაგრამ სასწავლო პროცესი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა არ შეწყვეტილა იმის მეოხებით, რომ უნივერსიტეტს შეუნარჩუნდა პროფესორ-მასწავლებლთა შემადგენლობის ძირითადი ბირთვი. ეს იყო ბრძოლული ღონისძიება, რაც განსაკუთრებით ნათელი შეიქმნა ომისშემდგომ პერიოდში. დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მრავალი რთული სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილეობას იღებდნენ სპეციალისტები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტებში მომზადდა ომის წლებში. მათ შორის ბევრი იყო ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილიც.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ იწყება თბილისის უნივერსიტეტის სწრაფი განვითარება. ფართოვდება არსებული და ყალიბდება ახალი ფაკულტეტები და სპეციალობანი, ბევრად იზრდება სტუდენტთა რიცხვი.

თბილისის უნივერსიტეტმა უდიდესი მუშაობა გაწია ცოდნის თანამედროვე დარგთა განვითარებისათვის, რამაც მას მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა და ჩაეყარა მოწინავე უნივერსიტეტთა რიგებში.

ცხადია, აქ მოკლებული ვართ საშუალებას დაწვრილებით დავახასიათოთ უნივერსიტეტის განვითარების ისტორია ან მისი მიღწევები. ეს არც არის აუცილებელი, ვინაიდან ყველასათვის ხელმისაწვდომია საიუბილეოდ გამოკეთებული მასალები, სადაც საკმაოდ დეტალურად არის გაშუქებული ეს საკითხები. ამჯერად ჩვენ შეეხებით მოკლედ გადმოგცეთ ჩვენი უნივერსიტეტის მოღვაწეობის მხოლოდ ზოგიერთი მთავარი შედეგი და გზადაგზა გაკვრით შევეხოთ მისი შემდგომი განვითარების ძირითად ამოცანებს.

თბილისის უნივერსიტეტი მრავალი ხელოვნი თუ უხელოვნი ძაფით არის დაკავშირებული წარსულის სულიერ მემკვიდრეობასთან. გარკვეული თვალსაზრისით იგი ჩვენი ხალხის ძველი კულტურული ტრადიციის პირდაპირი მემკვიდრე და გამგრძელებელია. ჩვენმა მეცნიერებმა, გამოიყენეს რა ძველი ქართული ლიტერატურის მრავალრიცხოვანი ძეგლები და ფილოსოფიურ-მეცნიერული ტრაქტატები, რომლებიც საქართველოსა და სხვა ქვეყნების მუზეუმებსა და წიგნსაცავებშია თავმოყრილი, ხშირ შემთხვევაში ძნელად ხელმისაწვდომ ადგილებში, შეიმუშავეს თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგია, დაწერეს სახელმძღვანელოები და მყარი ტრადიციები შეუქმნეს მეცნიერულ დისციპლინათა სწავლებას მშობლიურ ენაზე. ამან გაუადვილა ქართველი ახალგაზრდობის ფართო ფენებს უმოკლესი გზით ზიარებოდნენ მეცნიერებას, შეეძინათ მეცნიერულ-შემოქმედებითი მუშაობის ჩვევები, გამოეუნებინათ მდიდარი შესაძლებლობანი მშობლიური, სალიტერატურო ენისა, რომელზედაც წერილობითი ძეგლები მოიპოვება მე-5 საუკუნედან და. რომელმაც სრულყოფის მაღალ საფეხურს მიაღწია ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, როცა შეიქმნა გენიალური რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ — მხატვრული შემოქმედების ეს უბადლო ნიმუში.

უნდა ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთა ისტორიულ-ფილოლოგიურ ძალებს ცენტრალური ადგილი ეკავათ უნივერსიტეტის მუშაობაში მისი არსებობის დასაწყის ეტაპზე. მათ დღესაც სამაგრო ადგილი უკავიათ უნივერსიტეტის თემატიკაში, გარკვეული თვალსაზრისით შეადგენენ რა მის სპეციფიკას. ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერებმა, რომელიც განაგრძობენ პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის სახელგანთქმული წარმომადგენლების მარი ბროსეს, დავით ჩუბინაშვილის, ალექსანდრე ცაგარლის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და სხვათა შესანიშნავ ტრადიციებს, პირველხარისხოვანი აღმოჩენები მოახდინეს ცოდნის მრავალ დარგში.

ივანე ჯავახიშვილის, მის თანამოკალმეთა და მოწაფეთა ფუძემდებლური ნაშრომების წყალობით უფრო სრულად იქნა წარმოსახული საქართველოს ისტორიის სურათი, უძველესი დროიდან მოკიდებული, გამოვლენებულია საქართველოს ისტორიული ურთიერთობა ძველი ცივილიზაციის ხალხებთან, ბერძნულ და ელინისტურ სამყაროსთან, რომსა და ბიზანტიასთან, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიისა და სხვა ქვეყნებთან. განსაკუთრებული სისრულით შეისწავლებოდა და შეისწავლება რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ისტორია. საფუძვლიანი გამოკვლევები იქნრება ახალი და უახლესი ისტორიის დარგში ვრცელი მონოგრაფიები მიეძღვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიას, სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ისტორიის სასტორიათა, ნახევარგამტართა ფიზიკაში და ფიზიკის ზოგიერთ სხვა დარგში.

თბილისის უნივერსიტეტმა დიდი მუშაობა გასწია კადრების მომზადებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების განვითარებისათვის ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში, აგრეთვე გეოფიზიკაში.

უკანასკნელ წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის მიჯნაზე წარმოიშვა ცოდნის არა ერთი ახალი დარგი, მათ რიცხვს ეკუთვნის კიბერნეტიკა. ამ დარგში ჩვენს რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ინტენსიურად ჩადგება. ამასთან დაკავშირებით კიბერნეტიკის ფაკულტეტს უნივერსიტეტში ეკისრება სათანადო მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდის დიდი ამოცანა

ბიოლოგიურ გამოკვლევებს თბილისის უნივერსიტეტში მდიდარი ტრადიციები აქვს. საქვეყნოდ აღიარებული შრომები ქართველ ფიზიოლოგთა სკოლისა, რომელსაც აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი მეთაურობს, ძირითადად შესრულებულია უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში. განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს ბიოლოგიის ისეთმა დარგებმა, როგორიცაა ბიოქიმია და ბიოფიზიკა. მათი განვითარებისათვის უნივერსიტეტში ხელსაყრელი პირობები იქმნება.

უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ქიმიის მეცნიერებათა დარგში. ამ დარში აქ მუშაობა დაიწყო სახელოვანი მეცნიერის, ჩვენი უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე ბელიქიშვილის ხელძღვანელობით.

ქართველ გეოლოგთა და მინერალოგთა თეორიული და პრაქტიკული მიღწევები ფართოდ არის ცნობილი. ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის უნივერსიტეტს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტს, სადაც იმთავითვე მოღვაწეობდნენ ალექსანდრე ჯანელიძე და ალექსანდრე თავლაშერელიძე. მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს შესრულებული ფაკულტეტის გეოგრაფიის განყოფილებას (ალექსანდრე ჯავახიშვილი, გიორგი გეხტმანი).

თბილისის უნივერსიტეტი თავიდანვე ახორციელებდა ფართო კონტაქტს საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი დახმარება, რასაც გამოდმენით უწევს ჩვენს უნივერსიტეტს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვის მ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო კადრების მომზადებაში. უკვე ორი წელია გრძელდება თბილისისა და იენის უნივერსიტეტების მეგობრობა.

მრავალ საბჭოთა და უცხოელ მეცნიერს ვიწვევთ ჩვენთან ლექციების წასაკითხავად. სამაგიეროდ საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობენ ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლები; ისინი აქტიურად ონაწილეობენ საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში, თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა მრავალი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტები მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება.

უნივერსიტეტის სიმდიდრე — ეს მის ახალგაზრდობაა. თბილისის უნივერსიტეტს ჰყავს ასობით წარჩინებული სტუდენტი, ასპირანტი და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი. უნივერსიტეტის საქმიანობის ცენტრში დგას სტუდენტი. ზრუნვა მისი ყოველმხრივი აღზრდისათვის — აი, რა არის უნივერსიტეტის ძირითადი ამოცანა. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი უნივერსიტეტის 15 ფაკულტეტი და 108 კათედრა, რომლებიც აერთიანებს ათასზე მეტ პროფესორსა და მასწავლებელს, მათ შორის — 175 პროფესორსა და მეცნიერებათა დოქტორს, 500-მდე დოცენტსა და მეცნიერებათა კანდიდატს.

თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 7, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის — 43 და სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის 3 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი. ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში სწავლობს 15 ათასამდე სტუდენტი, მათი შემადგენლობა მრავალეროვანია. გარდა ქართველებისა, აქ მეცნიერებას ეუფლება 23 ეროვნების ორი ათასზე მეტი სტუდენტი, აქედან რუსი — 947, სომეხი — 519, ებრაელი — 298, ოსი — 108, ბერძენი — 54, უკრაინელი — 46, აზერბაიჯანელი — 34, აფხაზი — 30 და პოლონელი — 30.

თბილისის უნივერსიტეტში რამდენიმე ფაკულტეტს აქვს რუსული სექტორი, რომელზედაც სწავლება რუსულ ენაზე წარმოებს. ეს უნივერსიტეტში განათლების მიღების საშუალებას აძლევს იმ პირთ, რომლებმაც ქართული არ იციან.

უნივერსიტეტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მეცნიერთა ახალი თაობების აღზრდა. ამ მხრივ აქ თავდანყენ კარგი ტრადიცია დამკვიდრდა. პირველივე გამოშვებიდან საუკეთესონი უნივერსიტეტმა საპროფესორო მოღვაწეობისათვის მოსამზადებლად დიტოვა. მათი უმრავლესობა — სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ამირანაშვილი, ვარლამ თოფურია, თამარ ლომაური და კონსტანტინე ბაქრაძე — შემდგომ ცნობილი მეცნიერები გახდნენ. 30-იანი წლებიდან სწრაფად იზრდება ასპირანტთა და პედაგოგ-მუშაკთა რაოდენობა. უნივერსიტეტის ცხოვრებაში წამყვანი როლის შესრულებლად თანდათანობით გვევლინება იმ მეცნიერთა თაობა, რომელმაც უნივერსიტეტი პირველი წლების მომდევნო ხანებში დაამთავრეს.

ჩვენი ვალია განვამტკიცოთ ეს ტრადიციები და ყოველთვის გვქონდეს ყურადღების ცენტრში ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადება. ამასთანავე საჭიროა დამწყებ მეცნიერებს მივცეთ მეტი შესაძლებლობა გამოავლინონ საკუთარი ინიციატივა, რათა ისინი არ ჩაიკეტონ ვიწრო ჩარჩოებში და არ გაჰყვნენ უკვე გათელილ გზას.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ისინი დიდ მუშაობას ეწევიან უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად კოლექტივის მობილიზაციისათვის, სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური და მორალური აღზრდისათვის. აწყობენ სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებს.

უნივერსიტეტის კოლექტივი განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან, აქტიურად მონაწილეობს მის დიდ შრომის საქმეებში.

არდადეგების დროს უნივერსიტეტის სტუდენტები და მასწავლებლები არა ერთგზის წასულან რაიონებში, რათა მოსახლის აღებაში დახმარებოდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. გასულ წელს ჩვენი სტუდენტობის დიდმა ჯგუფმა, რომელიც ყამრი მიწებზე მუშაობდა, სტუდენტ-მშენებელთა რაზმების საკავშირო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

ჩვენს დროში, მეცნიერებისა და ტექნიკის არაჩვეულებრივად სწრაფი განვითარების ეპოქაში, უნივერსიტეტს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ამოცანები ეკისრება. მან ფხიზლად უნდა ადევნოს თვალყური მეცნიერების განვითარებას, ყოველთვის იყოს მისი მიღწევების ცურსში და გამოიყენოს ეს მიღწევები სწავლებასა და მეცნიერულ მუშაობაში. საჭიროა სრულყოფდეთ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ჯეროვნად ვითვალისწინებდეთ სამეცნიერო დისციპლინათა სულ უფრო მზარდ ურთიერთგავლენას და ცოდნის ახალი დარგების წარმოშობას სხვადასხვა მეცნიერებათა მიჯნაზე.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არსებითად შეიცვალა თვით მეცნიერულ გამოკვლევათა ნარმოების ხასიათი. თუ ადრე, ჯერ კიდევ ჩვენი თაობის ხსოვნაში, მეცნიერება გაცილებით შორს იდგა ცხოვრების პრაქტიკულ მოთხოვნილებათაგან და ვითარდებოდა უმთავრესად განვითარების შინაგან კანონზომიერებათა შესაბამისად, ამჟამად პრაქტიკის გავლენა გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. მეცნიერება გამოვიდა ლაბორატორიათა მყუდრობიდან და ჩაერთო ცხოვრების მორევში, იგი უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის აქტიური მონაწილე გახდა. ასეთ პირობებში საჭიროა გადაისინჯოს სტუდენტთა მომზადების ტრადიციული ფორმები, მეტი ყურადღება დაეთმოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევათა გამომუშავებას.

თანამედროვე უნივერსიტეტი უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების დიდ კომპლექსს. ეს საშუალებას მოგვცემს ჩავაბათ სტუდენტთა ფართო მასა სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და ამ გზით მოვამზადოთ სპეციალისტები, რომლებსაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეეძლებათ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტაში. ამიტომ სამეცნიერო და სასწავლო ლაბორატორიების შემდგომი გაფართოება და ახალი მოწყობილობით მათი აღჭურვა უნივერსიტეტის პირველხარისხოვანი ამოცანაა.

ყველა ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია ის დაუცხრომელი მზრუნველობა, რასაც თბილისის უნივერსიტეტისადმი, მისი კოლექტივისადმი აჩენდა და სულ უფრო მეტად აჩენს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ასეთი მზრუნველობის ერთ-ერთი მკაფიო გამოხატულება იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის** მობრძანება უნივერსიტეტში. დიდად საპატიო სტუმარს გულთბილი შეხვედრა ჰქონდა ჩვენი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, გაეცნო მის მიღწევებს და გამოთქვა არა ერთი მეტად საყურადღებო მოსაზრება უნივერსიტეტის შემდგომი განვითარების გეგმებზე.

უნივერსიტეტის კოლექტივს უდიდეს დახმარებას უწევს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა. ეს განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა უნივერსიტეტის საიუბილეო სამზადისის დღეებში. მთავრობის რესპუბლიკურმა საიუბილეო კომიტეტმა, რომელსაც სამეცნიერთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მეფიშვილი** მეთაურობს, უნივერსიტეტისათვის დახმარების აღმოსაჩენად უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი განახორციელა. ამ ღონისძიებათა გვირგვინი იქნება 14-სართულიანი კორპუსის გადმოცემა, რომელიც აგებულ იქნა უაღრესად შემჭიდროებულ ვადებში. ეს შესანიშნავი ნაგებობა ჩვენს დღესასწაულს. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლო მომავალში დამთავრდება ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის კორპუსი. საკავშირო სადირექტივო ორგანოებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება ახალი საუნივერსიტეტო კომპლექსის მშენებლობის შესახებ. საბურთალო-ბაკურიანში. მშენებლობის ამ დიდი პროგრამის განხორციელება გარდატეხის ეტაპი იქნება უნივერსიტეტის ცხოვრებაში. იგი შესაძლებლობას მოგვცემს ავამაღლოთ უნივერსიტეტის მთელი მუშაობის დონე. და ახალი, უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანოთ საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი დიდად აფასებს პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ მზრუნველობას, იგი მომავალშიაც დაუცხრომლად იზრუნებს ხალხის საკეთილდ

ქართული მეცნიერებისა და კულტურის დიდებული დასასრული

(დასასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭანთლებას იღებდა რუსეთში და იქ სწავლის დროს ამზადებდა ეროვნულ მეცნიერულ კადრებს. მე, როგორც ქმიკოსს, მინდა უფროსრეს ყოველისა აღვნიშნო ოდესის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორის, შემდეგ კი თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორის პ. მელიქიშვილის უდიდესი დამსახურება, რომლის მოღვაწეობის შედეგად სამამულო მეცნიერების შემატა გამოჩენილ მეცნიერთა ახალი პლეადა.

ისტორიკოსთა შესანიშნავი სკოლა შექმნა ქართული უნივერსიტეტის ისტორიდებელმა, ლეონტიმსილმა მეცნიერმა ი. ჯავახიშვილმა. ჯერ კიდევ სტუდენტობაში ბევრი რამ მსმენია ახალგაზრდა ქართველს, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს ნ. მუსხელიშვილს საოცარი ტალანტის შესახებ. დღეს იგი სათავეში უდგას ქართველ მათემატიკოსთა სკოლას, რომლის წარმატებანი მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ფირთოს პოპულარობა მოიპოვა ქართველ ფიზიოლოგთა სკოლამ გამოჩენილი მეცნიერის ი. ბერიტაშვილის მეთაურობით, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგში, შემდეგ კი ოდესაში.

ეს მაგალითები ცხადყოფენ მდიდარ კულტურულ და მეცნიერულ ტრადიციებსა და ერთიერთობას, რაც ძველთაგანვე აკავშირებდა ქართველ და რუს ხალხებს. ახალ, რიგა სოციალისტური რესპუბლიკების კულტურისა და მეცნიერების მთელი ეროვნული სიმდიდრე ერთ ბაკად მიედინება საბჭოთა მეცნიერების და კულტურის, საერთო კალაპოტში, ისინი უმაგალითოდ ამოავლენენ ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას, და დღეს საბჭოთა მეცნიერებას წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიოში. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ მეცნიერებსაც.

— თბილისის უნივერსიტეტი, — თქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა, — გახდა ქართული მეცნიერების და კულტურის მაღლანები კერა, მისი განვითარების ძძლავრი სტიმული. ამიტომ დღევანდელი იუბილე მთელი ქართველი ხალხის დღესასწაული. იგი განსაკუთრებით მახლობელია საქართველოს მეცნიერთა აკადემიისათვის, რომელიც უნივერსიტეტის პირმშოა. ორი ათწლეულის განმავლობაში ამ ... ეროვნული აკადემიის შექმნის საფუძველი.

შეხვედრა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ნ. ... , რომელმაც თქვა:

— ის ფაქტი, რომ ჩვენს საიუბილეო ზეიმში მონაწილეობენ მსოფლიო მეცნიერის საუკეთესო წარმომადგენლები, მოწმობს, თუ რა დიდად ფასობს მეცნიერული საზოგადოებრიობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებას. უნივერსიტეტის კოლექტივი მადლობელია იმ თავაზიანობისათვის, რომელიც გამოიჩინეს ინგლისის, ავსტრიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჰოლანდიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ფინეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა იმით, რომ მოსაწვევრება მიიღეს ჩვენს იუბილეზე. მადლობას გუბდით მათ ჩამოსვლისათვის და ეუსურვებთ ვარჯი დრო გატარებინოთ საქართველოში და საუკეთესო მოგონებანი დარჩენოდეთ.

მხურვალე მადლობას გუბდით მოსკოვიდან ... ლენინგრადიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან: ჩამოსულ ძველებს ტუმრებისაგან, რომელთა უნივერსიტეტებიან ჩვენს უნივერსიტეტს აკავშირებს კარგი მეგობრობა, და რწმენას გამოვთქვამთ, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

ეუბილარს გულთბილად მიესალმნენ ერმის ა. ვ. ბორკის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი უნივერსიტეტის რექტორი, რუსეთის სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ფ. გორეოვი, დონის როსოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ი. ... , მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ... მათემატიკის და არქიტექტურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ. მაცკი, დღესტნის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ა. ... , ... ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნ. ... , საქართველოს ... ინსტიტუტის პროფესორ ... , ... ინსტიტუტის პროფესორ ... , ... , ... ,

ტაშკენტის პირველი საერთაშორისო

ბუენოს, 21 ოქტომბერს, უზბეკეთის დედაქალაქში გაიხსნა აზია-აფრიკის ქვეყნების პირველი საერთაშორისო კინოფესტივალი. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ნინა ჯაფარიძე წერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს შალვა სალარიძეს და სთხოვს გაზეთის მკითხველებისათვის მოეთხრო ტაშკენტის ფესტივალის ირგვლივ:

ამ ცოტა ხნის წინათ ტაშკენტში ხალიჩის ვითარებაში ჩატარდა საბჭოთა და საზღვარგარეთელ ლიტერატურათა სიმპოზიუმი, რომელიც მიმდინარეობდა. მაღალ დონეზე, ჯანსაღი სკამბაისის ჭიშარებაში. ლაპარაკი იყო მწერალთა ამოცანების შესახებ მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და პროგრესული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის მბრძოლაში. შემდეგ მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობამ სიყვარულით აღნიშნა უზბეკური ლიტერატურის პატრიარქის, ალმოსავლური ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ალიშერ ნავოის იუბილე.

ამჯერად ტაშკენტი ისევ მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. აქ ეხებოდა აზია-აფრიკის კინოფესტივალი, რომელიც კინოხელოვნათა საერთაშორისო დათვალიერება იქნება.

ფესტივალის ორგანიზატორები ანალ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და უზბეკეთის კინემატოგრაფისტთა კავშირები. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სარვარ აზიმოვი.

საბჭოთა კავშირიდან რომელი რესპუბლიკები მონაწილეობენ ფესტივალში?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ტაშკენტის კინოფესტივალში მონაწილეობენ მასპინძლები — უზბეკი კინემატოგრაფისტები, აგრეთვე ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის ფედერაციის (იგულისხმება ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სტუდიები) და საქართველოს კინოშუბკები.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოსტუდიებს გარდა ფესტივალზე მიწვეულია სხვა კონტინენტების კინოხელოვანთა დიდი ჯგუფი. ისინი ფორუმის დღეებში აჩვენებენ იმ კინოფილმებს, რომლებიც ეძღვნება აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას.

გარდა ფესტივალის ოფიციალური რეგლამენტისა, კიდევ რა ღონისძიებები ჩატარდება შორეულის დღეებში?

— გათვალისწინებულია სავაჭრო გაერთიანება „ექსპორტფილმში“ მოაწყოს დიდი კინობაზარი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ აზიისა და აფრიკის ფირმები. ფესტივალზე აკრედიტებულნი უცხოელ ეურნალისტთა და ფოტორეპორტიორთა დიდი ჯგუფი, რომლებსაც საშუალება აქვებათ ოპერატიულად გადასცენ მასალები თავიანთ ქვეყნებში. მოეწყობა ეჭსკურსიები უზბეკეთის ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად.

საქართველოდან რომელი ფილმები წარდგენილი ფესტივალზე და რეჟორია ჩვენი დელეგაციის შემადგენელობა?

— გასულ წელს აღინიშნა ქართული კინოს სახელოვანი 50 წელი. ნამალი კინოს სახელოვანი 50 წელი. ნამალი კინოს სახელოვანი 50 წელი. ნამალი